



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ბენეფიციური დირექტორის

ბრძანება № 151

ქ. თბილისი

19 თებერვალი 2018 წ.

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2018 წლის კონკურსის
გამოცხადების შესახებ

„მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 თებერვლის N130/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N1341024, 17.10.2018) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2018 წლის კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს კრებსითი ინფორმაციის ფორმა პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს ზოგადი ინფორმაციის ფორმა პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N3-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ს შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროექტის გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ს შესაბამისად;
6. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს ბიოგრაფიული მონაცემების ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს თანხმობის წერილის ფორმა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;
12. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
13. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია

